



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 023/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე კაკიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორები წარმოადგენენ სამოქალაქო საქმეზე ერთ-ერთ მხარეს და მიაჩნიათ, რომ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი ცუდ ზეგავლენას ახდენდა თავის კლიენტზე, მათთან ვიზიტებით და ასევე უშუალოდ სასამართლო სხდომაზე, რის გამოც ხელი შეეშალა სამოქალაქო დავათა მორიგებით დასრულებას. აღნიშნულზე ადვოკატი განმარტავს, რომ მას თავის კლიენტთან შეთანხმებული აქვს წაგების თუ მოგების რისკები, ყოველი ქმედება, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარესთან ვიზიტი ემსახურებოდა კლიენტის ინტერესებს და არასდროს ყოფილა მხარეთა შორის მოლაპარაკების ხელისშემშლელი წინაპირობა, რასთან დაკავშირებითაც კომისიამ მოისმინა მოწმეთა ახსნა-განმარტებები.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის ქმედება შეფასდა კეთილსინდისიერების პრინციპისა და პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვის ღირებულების ფარგლებში. ადვოკატი თავის საქმიანობაში თავისუფალია, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს აბსოლუტურ თავისუფლებას და კანონით განსაზღვრულია, რას მოიცავს ადვოკატის საქმიანობა. ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას. განმცხადებლებს პრეტენზია აქვთ მათი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან და ამასთან დაკავშირებით კოლეგიამ მიუთითა, რომ ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ განმცხადებლის მითითება ადვოკატის მიერ მისი კლიენტის წაქეზებასა და მასზე ზეგავლენის მოხდენის შესახებ მისი დადასტურების შემთხვევაშიც კი არ შეიძლება გახდეს ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, ვინაიდან სამოქალაქო დავათა მიმდინარეობისას ადვოკატი იცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს და მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეთიკის კომისია საჩივარში მოხმობილ გარემოებებზე დამატებით განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის შეამოწმოს საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტების სისწორე და მისცეს მას სამართლებრივი შეფასება, ვინაიდან ისინი არ უკავშირდება ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტების სავარაუდო დარღვევას.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

¹ <https://gba.ge/pdf/5c52a13348064.pdf/5c52a13348064.pdf>